

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში

(2016 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის 1 ნოემრამდე)

პატივცემულო კოლეგებო,

ზუსტად ერთი წელი გავიდა (2016 წლის 9 ნოემბერს ) მას შემდეგ რაც შევუდექი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეობას; ეს არც ისე დიდი პერიოდია რომ თამამად ვისაუბრო უამრავ გაკეთებულ საქმიანობებზე, თუმცა ჩვენი ზოგადად „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გუნდური პრინციპით არაერთი მნიშვნელოვანი და ძირეული საკითხები გადაწყდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. კერძოდ: განხორციელდა რამდენიმე ათეული ინფრასტრუქტურული პროექტი. მათ შორის და ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური სახლების მშენებლობა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე ბენეფიციართათვის, „ერთი თბილი ოთახი“-ს პროექტი, ნაპირსამაგრი სამუშაოები, ხიდ-ბოგირების, გზების შეკეთების კაპიტალური თუ მოხრეშვითი სამუშაოების თითქმის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში;

სულ რამოდენიმე დღის წინ ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოსა და მერის მორიგი არჩევნები, რომელიც, როგორც მთელს საქართველოში, ჩვენს მუნიციპალიტეტში მაღალ დონეზე ჩატარდა. ჩვენმა მოსახლეობამ საბოლოოდ თქვა უარი ყოველგვარ ძალადობასა და უსამართლობაზე და აირჩია ხელისუფლება, რომელიც ნამდვილად ქვეყნის მომავალსა და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვაზეა ორიენტირებული. ქვეყანაში შექმნილია აღმშენებლობის მშვიდი და ხელსაყრელი ატმოსფერო, შეუქცევადია საქართველოს არჩევანი, იზრდება მისი ავტორიტეტი ევროპულ გაერთიანებებსა და სტრუქტურებში.

ბატონებო,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი მოწვევის 45 წევრიანი შემადგენლობა თავისი უფლებამოსილების თითქმის მეოთხე წელს იმავე შემართებითა და ენთუზიაზმით ხვდება რითაც ფუნქციონირება დაიწყო. ჩვენ შევქმნით მყარი სამართლებრივი ბაზა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის არის აზრთა სრული თანხვედრა, ურთიერთპატივისცემა, კოლეგიალობა, სადავო საკითხების ცივილიზებული გადაწყვეტა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის.

მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის

შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით, სხვა საკანონმდებლო აქტების ნორმებით რომელთა საფუძველზეც საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა შემდეგი ნორმატიული აქტები:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური პროგრამების და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ასაფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური საქმეთა და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარებების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;

-2017 წლისათვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამის დამტკიცების თაობაზე;

-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ;

-ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანისნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

-საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43<sup>1</sup> და 43<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარშვების წესის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმების დამტკიცების თაობაზე;

-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის გავრცელების გეგმის დამტკიცების შესახებ;

-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. განმუხურში კონკრეტული ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ;

-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ;

-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ;

-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ;

-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე;

-„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ზუგდიდის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 სექტემბრის N38 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

-ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ;

-ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ;

-ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ;

-ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;

გარდა ამისა, ცვლილებები იქნა შეტანილი 45 ნორმატიულ აქტში. მათ შორის 2017 წლის ბიუჯეტში 8-ჯერ, ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურების პროგრამაში 3-ჯერ, სულ საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 80 ნორმატიული აქტი (საკრებულოს დადგენილება);

საანგარიშო პერიოდში სათანადო ყურადღება ექცეოდა როგორც საკრებულოს, ისე მისი ბიუროსა და კომისიების საქმიანობის დაგეგმვას. ყოველკვარტლურად ხდებოდა სამუშაო გეგმების შედგენა, განხილვა და დამტკიცება. მათში გათვალისწინებული იყო თვითმმართველობის წინაშე მდგარი აქტუალური და გადაუდებელი პრობლემები. მათი სამართლებრივი რეგულირება, სამუშაო გეგმების შედგენა ხდებოდა დროულად და კოლეგიალურად.

ადგილი არ ჰქონია საკრებულოს სხდომების ჩაშლას ქვირუმის არ არსებობის გამო, სხდომების დაგვიანებით დაწყებას ან გადადებას, არ დარღვეულა რეგლამენტის მოთხოვნები. როგორც მორიგი ისე რიგგარეშე სხდომების ჩატარების დროს საკითხების განხილვისას იმართებოდა საქმიანი დებატები, რომელიც ზოგჯერ ცხარე კამათში გადადიოდა, მაგრამ არასოდეს დარღვეულა საკრებულოს წევრის ეთიკის ნორმები და პროცედურული პროცესები.

საანგარიშო გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29 სხდომა, მათ შორის 11 მორიგი, 18 რიგგარეშე, 17 რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის გამგებლის, ხოლო ერთი საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით. სხდომებზე განხილულ იქნა 157 საკითხი, მიღებულ იქნა 80 დადგენილება და 77 განკარგულება.

უნდა აღინიშნოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მოქალაქეთა ჩართულობა, რაც გამოიხარტება მათ მიერ პეტიციის წესით წინანადებების წარმოდგენაში . სულ შემოსული 6 პეტიცია, რომლებიც განხილულ და გადაგზავნილ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. აქვე მინდა დავამატო, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოცემული რეკომენდაციები პეტიციის წესით საკითხის დაყენებასთან დაკავშირებით და ცვლილებები შეიტანა საკრებულოს რეგლამენტში. მიმაჩნია რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და არასამთავრობო სექტორის ურთიერთთანამშრომლობისა;

საკრებულოსა და კომისიების სხდომებზე მოსმენილ და შეფასებულ იქნა გამგეობის სამსახურებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ანგარიშები, მათ მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე. კვარტალურად იხილებოდა მუნიციპალიტეტის 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა, სათანადო ყურადღება ეთმობოდა საკრებულოს მუშაობის საჯაროობას. ყველა სხდომა ჩატარდა ღიად, ნებისმიერ მსურველს ჰქონდა შესაძლებლობა დასწრებოდა საკრებულოს სხდომებს და კანონის შესაბამისად, რეგლამენტის დაცვით წერილობით თუ ზეპირად, გამოეხატა თავისი დამოკიდებულება განსახილველი საკითხის მიმართ.

საკრებულოს სხდომების ჩატარების თაობაზე განსახილველი საკითხების ჩამონათვალთან ერთად ინფორმაცია დროულად ქვეყნდებოდა პროაქტიულად. საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად ნებისმიერ მოქალაქეს, სამუშაო საათების ნებისმიერ დროს, შესაძლებლობა ჰქონდა შეხვედროდა საკრებულოს თანამდებობის პირებს, ხოლო თვეში ერთხელ საკრებულოს წევრებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ დეპუტატებს თითქმის ყოველდღიური შეხვედრები ჰქონდათ ამორჩევლებთან, რაზედაც მოწმობს მათ მიერ მოსახლეობასთან შეხვედრის ამსახველი ოქმები;

2017 წლის ოქტომბერში საკრებულოს წევრებმა ანგარიშები ჩააბარეს თავიანთ ამომრჩევლებს. შეხვედრებში მონაწილე ამომრჩევლებმა დიდი მადლიერება გამოხატეს მუნიციპალიტეტში განხორციელებული კეთილმოწყობის სამუშაოებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების გამო და დადებითად შეაფასეს გაწეული საქმიანობა. ამასთან გულახდილად ისაუბრეს გადასაწყვეტ პრობლემებზე და დააყენეს მოსაგვარებელი საკითხები, რომელსაც ეტაპობრივად ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვეტს ახალი მოწვევის საკრებულო და მერი;

ამომრჩევლებმა მათ მიერ დაყენებულ წინადადებებზე მიიღეს ამომწურავი პასუხები. მიმდინარე წელს შესაძლებლობის მიხედვით მათი უმრავლესობა გათვალისწინებული

იქნება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - მერიის მიერ 2018 წელს ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის სამუშაოების დაგეგმვისას.

რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად, საკრებულოს სამუშაო გეგმებისა და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული სხდომათა გრაფიკის მიხედვით წარმართავდა საქმიანობას საკრებულოს ბიურო. ადგილი არ ჰქონია ბიუროს სხდომების გადადების ან ჩაშლის შემთხვევებს, მაღალი იყო ბიუროს წევრების აქტივობა. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს ბიუროს 59 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 207 საკითხი. ბიუროს გადაწყვეტილებით ხდებოდა საკრებულოს მორიგი და რიგგარეშე სხდომების დღის წესრიგის პროექტების შედგენა-გამოქვეყნება, საკრებულოს კომისიების სამუშაო გეგმების დამტკიცება და ა.შ.

საკრებულოს ყველა წევრი, თავმჯდომარის და მისი მოადგილის გარდა გაერთიანებული არიან ორ-ორ კომისიაში. კომისიები თავიანთ საქმიანობას წარმართავდნენ ძირითადად საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმების და თავმჯდომარის ბრძანებით შედგენილი სხდომათა გრაფიკის შესაბამისად. კომისიების საქმიანობას უშუალოდ ზედამხედველობს და კოორდინაციას უწევს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ლაშა ადეიშვილი.

კომისიის სხდომებზე იხილებოდა და საკრებულოს სხდომებისათვის მზადდებოდა როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ისე უფლებამოსილი პირების მიერ ინიცირებული საკითხები. კომისიების დასკვნები, რეკომენდაციები და წინადადებები წარედგინებოდა საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს და მუნიციპალიტეტის გამგებელს;

საკრებულოს კომისიების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის ანალიზი ასეთია:

1) იურიდიულ და სამანდატო საკითხთა კომისია შედგება 13 წევრისაგან. კომისია ზედამხედველობას უწევდა საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საპროცედურო საკითხების დაცვას და ამზადებდა სამართლებრივი დასკვნებს საკრებულოს მიერ მისაღებ ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებზე, ასევე ასრულებდა კომისიის დებულებით გათვალისწინებულ ფუნქციებს. კომისიას ჩატარებული აქვს 10 სხდომა, სადაც განხილული იქნა 21 საკითხი;

2) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შედგება 14 წევრისაგან, კომისია ზედამხედველობს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობისა და მის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ ების საფინანსო-საბიუჯეტო პროცესების მართვას. კომისია ყოველკვარტლურად იხილავდა მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შედეგების და ა(ა)იპ ების ხელმძღვანელთა ფინანსურ ანგარიშებს. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ჩატარებული აქვს 14 სხდომა, განხილული აქვს 23 საკითხი;

3) ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის განვითარების საკითხთა კომისია შედგება 12 წევრისაგან, კომისია ზედამხედველობს მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შესრულებას, ასევე დებულებით გათვალისწინებულ სხვადასხვა ფუნქციებს და ა(ა)იპ ების

ხელმძღვანელთა ანგარიშებს. კომისიას ჩატარებული აქვს 12 სხდომა, განხილული აქვს 21 საკითხი;

4) განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია შედგება 13 წევრისგან. კომისია ზედამხედველობას უწევს განათლების, კულტურის, სპორტის, ბიბლიოთეკების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პროგრამების შემუშავებას. კომისიას ჩატარებული აქვს 13 სხდომა, განხილული აქვს 23 საკითხი;

5) სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისია შედგება 11 წევრისგან. კომისია ზედამხედველობს ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მართვის პროგრამების შემუშავებასა და კომისიის დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციების შესრულებას. კომისიას ჩატარებული აქვს 10 სხდომა, განხილული აქვს 11 საკითხი;

საკრებულოში შექმნილია ექვსი ფრაქცია;

მე, როგორც ფრაქცია „ქართული ოცნებ“-ის წევრი მოგახსენებთ, ფრაქცია საქმიანობას წარმართავს წესდებისა და პოლიტიკური პლატფორმის შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში ფრაქცია პერიოდულად ატარებდა სხდომებს, სადაც ფიქსირდებოდა ფრაქციის თვალსაზრისი და პოზიციები მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი პრობლემების მიმართ.

საკრებულოს ერთ-ერთი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია თავმჯდომარის ბრძანება. საანგარიშო პერიოდში კანონმდებლობის დაცვით სხვადასხვა საკითხებზე სულ გამოცემულ იქნა 252 ბრძანება.

საკრებულოს აპარატში საანგარიშო პერიოდში შემოსულია: 832 წერილი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებიდან -26

სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროდან - 4

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო - 18

სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოდან - 6

ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან- 161

მოქალაქეებიდან - 14

სამხარეო ადმინისტრაციიდან - 21

საქართველოს პარლამენტი-1

საჯარო რეესტრი-11

მთავრობის ადმინისტრაცია-18

სასამართლო-3

ასოციაცია „ათინათი“-7

საია-7

გამჭირვალეობა საქართველო-6

ასოციაცია „დეა“-4

ასოციაცია „თანაზიარი“-2

დეპუტატების ანგარიში-249

ცესკო-5

სხვა დანარჩენი -269

ყველა წერილზე კანონმდებლობის დაცვით მოხდა დროული რეაგირება.

რაც შეეხება საკრებულოდან გასულ წერილებს სხვადასხვა ადრესატებზე, მათი რაოდენობა 599 შეადგენს.

სულ დოკუმენტის ბრუნვამ შეადგინა 1431;

2016-2017 წლებში(საანგარიშო პერიოდი) სამსხურებრივი მიზნებით სხვადასხვა უწყებებში მივლინებულ იქნა 18 პირი: მ/შ საზღვარგარეთ-2, ქვეყნის შიგნით-16 ;

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად მომზადდა და გაიცა 37 საჯარო ინფორმაცია; აქედან 21 გაეგზავნა არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიაორგანიზაციებს-7, პოლიტიკურ პარტიებს-1, მოქალაქეებს-2, სხვადასხვა სტრუქტურას- 3, უწყებას-2, საკრებულოს წევრი -1; ძირითადად საჯარო ინფორმაციები შეეხებოდა კადრების მოძრაობისა და ფინანსურ საკითხებს.

საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ მინისტრს და სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაეგზავნა ანგარიში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წ. გაცემული საჯარო ინფორმაციის თაობაზე.

საქმისწარმოების წესების მოთხოვნათა შესაბამისად მოწესრიგებულია საკრებულოს ბიუროს, კომისიების, ფრაქციის მოსახლეობასთან შეხვედრების ოქმების წარმოება. საკადრო სფეროში დაინერგა ელექტრონული საქმისწარმოება. ელექტრონულად დამუშავდა საჯარო მოხელეთა საკადრო მონაცემები, პირადი საქმეები. პერიოდულად ხდება მათი განახლება.

პატივცემულო კოლეგებო და სტუმრებო!



მიმდინარე 2017 წელი განსაკუთრებული იყო ჩვენს საქმიანობაში. როგორც თქვენთვის ცნობილია სულ რამოდენიმე დღის წინ ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, სადაც მმართველმა პარტიამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ყოველივე ეს დიდი ამოცანების წინაშე გვაყენებს. უნდა გაგრძელდეს და გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, მისი იერსახის კიდევ უფრო გაუმჯობესების, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობისა და ყოფაცხოვრების დონის ამაღლების მიზნით თითოეული ჩვენგანის საქმიანობა, რათა კიდევ უფრო პირნათელი წარვსდგეთ ჩვენი ამომრჩევლების წინაშე.

მწამს, რომ მომავალი ოთხი წელი იქნება უფრო დიდი აღმშენებლობისა, როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მწამს, ასევე რომ ახალი საკრებულო მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად უფრო თვალსაჩინო წვლილს შეიტანს ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და თითოეული ოჯახის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

მინდა დიდი მადლობა გადაუხადო თითოეულ თქვენთაგანს გაწეული საქმიანობისათვის, ასევე დიდი მადლობა საკრებულოს აპარატს მთელი ამ წლების მანძილზე გამართული და ორგანიზებული მუშაობისათვის. ჩვენ ერთად შევძელით წარმატების მიღწევა და მჯერა რომ სამომავლოდაც ასე გაგრძელდება.

გისურვებთ წარმატებებს.

მადლობა ყურადღებისთვის.